მანანა რატიანი

გეოგრაფიული კვლევების მნიშვნელობა ზოგადი განათლების საფეხურზე

ალბათ, არ ვიქნები მტყუანი თუ ვიტყვი, რომ ჩემს პედაგოგებს, რომლებსაც დღემდე დიდი პატივისცემით ვიხსენებ, წარმოდგენა არ ქონდათ თუ როგორი იქნებოდა 20 წლის შემდეგ ჩემი და ჩემი თანატოლების გარშემო სამყარო, რომელშიც ვიცხოვრებდით. ჩვენც, ჩვენი მოსწავლეების თუ სტუდენტების მომავალზე ჩამოყალიბებული ცალსახა მოსაზრებები არ გაგვაჩნია. იქნება ეს გარემო უფრო უსაფრთხო, უფრო დაცული, უფრო დემოკრატიული, უფრო განვითარებული, თუ არა, ეს რა თქმა უნდა დამოკიდებულია ჩვენს დღევანდელ ქმედებებზე, მაგრამ ერთი მკაფიოა, რომ ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ შეუძლებელია მომავლის შესაბამისი ცოდნა დღეს მივცეთ მათ, თუკი არ გავაკეთებთ მთავარ აქცენტებს გამოსამუშავებელ უნარებზე, მაგ., კვლევით უნარზე, რადგან კვლევითი კომპეტენციები, ასწავლის მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, თუ როგორ გამოიტანონ მტკიცებულებებზე და ფაქტებზე დაყრდნობით დასკვნები.

კვლევების ჩატარება და კვლევითი უნარების გამომუშავება სიახლეა ეროვნული სასწავლო გეგმისთვის, ეს ნაწილობრივ ინტეგრირებული იყო სხვადასხვა საგანში განსხვავებულ კლასებში. ახლა შემუშავებულია საშუალო სკოლის ახალი კურსი „გეოგრაფიული კვლევა“.

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეძლებს დააკვირდეს ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებსა და კანონზომიერებებს და განსაზღვროს მოსახლეობის საჭიროებები და პრობლემები, რის შედეგადაც შეიმუშავებს პრობლემის მოგვარების გზებს წერილობით ფორმატში. ამავდროულად, ისინი შეადგენენ სხვადასხვა თვალსაჩინოებებს, რუკებსა და გრაფიკებს. კვლევის თემა უნდა ეფუძნებოდეს ასაკობრივ თავისებურებებსა და სტუდენტის ინტერესს, რაც მათი მოტივაციის ზრდასა და საგნიბრივი ინტერესის გაღრმავების შესაძლებლობას იძლევა. ამავდროულად, იცვლება დამოკიდებულებები სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი, ვიტარდება სტუდენტების სოციალური უნარ-ჩვევები და ისინი აქტიურ მოქალაქეებად ყალიბდებიან.

კონფერენცია საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ მოსაზრებები თუ კვლევებთან დაკავშირებით რა და როგორ არის დაგეგმილი ზოგად განათლებაში. აღნიშნული ნაშრომი გვაჩვენებს, თუ როგორ ამზადებს სტუდენტებს სკოლა საუნივერსიტეტო განათლებისთვის და აძლევს მათ საშუალებას მომავალში აქტიურად ჩაერთონ ბევრად რთულ კვლევებში.